შპს "გარდაბნის თბოსადგური 2"

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სოფიო კაპანაძე

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან" დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

საკითხის მნიშვნელობა

ჩვენ ყურადღებას ფინანსური ანგარიშგების 20-ე შენიშვნაზე ვამახვილებთ, რომელიც აღწერს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არის გადაანგარიშებული. მოცემული საკითხის გათვალისწინებით ჩვენი დასკვნა არ იცვლება.

შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისთვის, რომელთა საფუძველზეც არის შედგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 1 იანვრისთვის, ფინანსური ანგარიშგების 20-ე შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების გარდა, იქნა აუდიტირებული სხვა აუდიტორების მიერ, რომლებმაც გამოთქვეს უცვლელი დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 22 მარტს და 2019 წლის 24 მაისს.

შპს "KPMG Georgia", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

სოფიო კაპანაძე

ჩვენ მიერ ჩატარებული, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ნაწილის სახით, ჩვენ ჩავატარეთ 20-ე შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომლებიც გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაციის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადასაანგარიშებლად. ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა 2019 წლის 31 დეკემბრით ან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების ფინანსური ანგარიშგების (არ არის წარმოდგენილი) ან 2019 წლის 1 იანვრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების აუდიტში, მიმოხილვაში ან ნებისმიერ პროცედურაში, გარდა ფინანსური ანგარიშგების 20-ე შენიშვნაში წარმოდგენილ კორექტირებებთან მიმართებაში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ დასკვნას ან სხვა სახის რწმუნებას აღნიშნულ შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ მთლიანობაში. თუმცა, ჩვენი აზრით, 20-ე შენიშვნაში აღწერილი კორექტირებები არის შესაბამისი და სწორად იქნა გამოყენებული.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლების მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.

— ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ირინა გევორგიანი

შპს "KPMG Georgia"
21 მაისი, 2021 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2019 გადაანგარიშებული*
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	467,379	345,725	158,335
არამატერიალური აქტივები		5	6	4
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		-	95,562	62,592
გრძელვადიანი აქტივები		**467,384**	**441,293**	**220,931**
მარაგები		8,809	33	2,051
საგადასახადო აქტივები		-	-	3,225
მოთხოვნები მშობელი კომპანიის მიმართ	10	-	-	85,070
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 (c)	31,606	160	144
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		318	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	1,373	12,865	38,278
მიმდინარე აქტივები		**42,106**	**13,058**	**128,768**
სულ აქტივები		**509,490**	**454,351**	**349,699**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	266,909	266,909	350,193
დაგროვილი ზარალი		(87,772)	(3,807)	(658)
სულ კაპიტალი		**179,137**	**263,102**	**349,535**
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	12	267,426	173,435	-
გაცემული გარანტია	13	38,595	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		**306,021**	**173,435**	**-**
გაცემული გარანტია	13	3,508	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	20,279	15,880	164
საგადასახადო ვალდებულებები		545	1,934	-
მიმდინარე ვალდებულებები		**24,332**	**17,814**	**164**
სულ ვალდებულებები		**330,353**	**191,249**	**164**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**509,490**	**454,351**	**349,699**

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით. იხილეთ შენიშვნა 20.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-41 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019 გადაანგარიშებული*
შემოსავალი	5	100,923	-
გაზის თვითღირებულება		(69,720)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(17,631)	(79)
პერსონალის ხარჯები		(3,921)	(1,877)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(4,132)	(2,568)
სხვა ხარჯები		(2,999)	(329)
სხვა შემოსავალი	6	4,599	8,975
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**7,119**	**4,122**
ფინანსური შემოსავალი	7	284	103
ფინანსური ხარჯები	7	(49,265)	(7,374)
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	**(48,981)**	**(7,271)**
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(41,862)**	**(3,149)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(41,862)**	**(3,149)**

* შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით და კლასიფიკაციაში ცვლილებების შედეგად. იხილეთ შენიშვნა 20.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 21 მაისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

მერაბ კიპაროიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი შენგელია
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-41 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს		350,193	(658)	349,535
სულ სრული ზარალი				
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში (გადაანგარიშებული)		-	(3,149)	(3,149)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
მშობელი კომპანიის არაფულადი შენატანი		13	-	13
საწესდებო კაპიტალის შემცირება	10	(83,297)	-	(83,297)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)		**266,909**	**(3,807)**	**263,102**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს		266,909	(3,807)	263,102
სულ სრული ზარალი				
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	(41,862)	(41,862)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
გაცემული გარანტია	10	-	(42,103)	(42,103)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		**266,909**	**(87,772)**	**179,137**

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით. იხილეთ შენიშვნა 20.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-41 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019 გადაანგარიშებული*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		69,576	-
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(75,972)	(1,140)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,396)**	**(1,140)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი	7	284	247
ძირითადი საშუალებების შეძენა		(49,477)	(183,523)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(49,193)**	**(183,276)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან	12	54,226	157,244
სესხების დაფარვა	12	(10,000)	-
გადახდილი პროცენტი	12	(119)	-
კაპიტალში შენატანი	10	-	1,773
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**44,107**	**159,017**
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(11,482)	(25,399)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	9	12,865	38,278
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(10)	(14)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	9	**1,373**	**12,865**

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით და კლასიფიკაციაში ცვლილებების შედეგად. იხილეთ შენიშვნა 20.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-41 გვერდებზე.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	12
2.	აღრიცხვის საფუძველი	13
3.	სამუშაო და წარდგენის ვალუტა	13
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	13
5.	შემოსავალი	14
6.	სხვა შემოსავალი	15
7.	წმინდა ფინანსური ხარჯები	15
8.	ძირითადი საშუალებები	16
9.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17
10.	კაპიტალი	17
11.	კაპიტალის მართვა	18
12.	სესხები და კრედიტები	18
13.	გაცემული გარანტია	19
14.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15.	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	21
16.	პირობითი ვალდებულებები	27
17.	დაკავშირებული მხარეები	28
18.	COVID-19-ის გავლენა	29
19.	შეფასების საფუძველი	29
20.	შეცდომების გასწორება	29
21.	მნიშვნელოვანი საბუღრიცხვო პოლიტიკები	31
22.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	41

სოფიო კაპანაძე

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" (შემდგომში "მშობელი კომპანია") მიერ 2016 წლის 1 სექტემბერს.

„კომპანიის“ რეგისტრირებული ოფისის მისამართია: დავით აღმაშენებლის ქუჩა 2 ბ, გარდაბანი 1301, საქართველო. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 426529759.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება. თბოელექტროსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტს კომპანიამ და თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე პასუხისმგებელმა კონტრაჰენტმა ხელი 2020 წლის 28 თებერვალს მოაწერეს. 2020 წლის 25 მარტს, კომპანიამ მიიღო ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან (სემეკი).

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ფლობს სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (100%-იანი საკუთრება). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. მშობელი კომპანია აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 17-ე შენიშვნაში.

სემეკის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) მიერ მიღებული, 2020 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ დადგენილება N 46-ის თანახმად, საქართველოს და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის მიზნით, ქვეყანაში "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა" დაარსდა და 2021 წლის ივლისიდან, ენერგეტიკული საწარმოები ვალდებულნი არიან შეიძინონ და გაყიდონ ენერგია მხოლოდ "საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე".

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ზემოთ აღწერილ ცვლილებებს კანონებსა და რეგულაციებში არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს") სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 21 (f)(i) - ძირითადი საშუალებები - აღიარება და შეფასება;
- შენიშვნა 13 - გაცემული გარანტიები.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 15 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

'000 ლარი	2020	2019
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:		
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	100,923	-
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**100,923**	-

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება.

(b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან დაშლილია მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით.

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება	
'000 ლარი	2020	2019
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
საქართველო	100,923	-
	100,923	-

(c) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
"სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში" შეტანილი მოთხოვნები	31,606	160

(d) ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ელექტროენერგიის გაყიდვა	ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ როდესაც ელექტროენერგია მიწოდებულია და მოხმარებულია საბითუმო მომხმარებლის მიერ. ინვოისი გაიცემა ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურება ხორციელდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლოს.	შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად საბითუმო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე. მოხმარებული ელექტროენერგია იზომება მრიცხველებით.

6. სხვა შემოსავალი

'000 ლარი	2020	2019 გადაანგარიშებული
შემოსავალი ჯარიმებიდან	4,592	8,889
სხვა	7	86
სულ	**4,599**	**8,975**

"შემოსავალი ჯარიმებიდან" ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, 2020 და 2019 წლებში, მიკუთვნებადია სახელშეკრულებო ჯარიმებზე, რომლებიც დარიცხულია თბოელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადაგადაცილებულ დღეებზე.

7. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით	284	103
ფინანსური შემოსავალი	**284**	**103**
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(19,613)	-
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(29,652)	(7,374)
ფინანსური ხარჯები	**(49,265)**	**(7,374)**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(48,981)**	**(7,271)**

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობები	ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული	დაუმთავრებელი მშენებლობა	სათადარიგო ნაწილები	სხვა	სულ
თვითღირებულება ან სავარაუდო ღირებულება						
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,516	263	156,350	-	276	158,405
შესყიდვები	98	-	176,786	-	268	177,152
კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები	-	-	10,317	-	-	10,317
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,614**	**263**	**343,453**	**-**	**544**	**345,874**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,614	263	343,453	-	544	345,874
შესყიდვები	1,431	36	108,195	27,097	537	137,296
კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები	-	-	1,989	-	-	1,989
გადაცემები	1,465	452,027	(453,492)	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**4,510**	**452,326**	**145**	**27,097**	**1,081**	**485,159**
ცვეთა						
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	5	-	-	65	70
წლის ცვეთა	7	21	-	-	51	79
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**7**	**26**	**-**	**-**	**116**	**149**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	7	26	-	-	116	149
წლის ცვეთა	67	17,460	-	-	104	17,631
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**74**	**17,486**	**-**	**-**	**220**	**17,780**
საბალანსო ღირებულებები						
2019 წლის 1 იანვარს	**1,516**	**258**	**156,350**	**-**	**211**	**158,335**
2019 წლის 31 დეკემბერს	**1,607**	**237**	**343,453**	**-**	**428**	**345,725**
2020 წლის 31 დეკემბერს	**4,436**	**434,840**	**145**	**27,097**	**861**	**467,379**

(a) უზრუნველყოფა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონება საბალანსო ღირებულებით 435,792 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბერი: 344,962 ათასი ლარი) დაგირავებულია უზრუნველყოფილ სესხთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 12).

(b) თბოელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება

თბოელექტროსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს, როდესაც თბოელექტროსადგური მზად იყო დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და შეეძლო ემუშავა ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით. "ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეულის" ფარგლებში წარმოდგენილი თბოელექტროსადგურის ცვეთა 2020 წლის 12 თებერვალს დაიწყო, როდესაც ის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა. კომპანია ცვეთად ღირებულებას ანაწილებს წრფივი მეთოდით მისი სავარაუდო 25-წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე.

თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები შეადგენდა 1,989 ათას ლარს (2019: 10,317 ათასი ლარი), კაპიტალიზაციის განაკვეთით 9.5% (2019: 9.5%). კაპიტალიზაცია შეწყდა 2020 წლის 12 თებერვლიდან.

(c) კაპიტალური ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ დადო ხელშეკრულებები 3,254 ათასი ლარის ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების მშენებლობასა ან შეძენაზე (2019: 20,581 ათასი ლარი - ძირითადად დაკავშირებული თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან).

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკში არსებული ნაშთები	1,373	12,865
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	**1,373**	**12,865**

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-15 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი თავდაპირველად მშობელი კომპანიის გადაწყვეტილების საფუძველზე, 10,000 ათასი ლარით განისაზღვრა. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 350,193 ათას ლარს, ხოლო მშობელი კომპანიის მიმართ დაუფარავი საინვესტიციო მოთხოვნა 85,070 ათას ლარს შეადგენდა. 2019 წლის იანვრის განმავლობაში, მშობელმა კომპანიამ საწესდებო კაპიტალში განახორციელა 1,773 ათასი ლარის ოდენობით შენატანი ფულადი სახსრების სახით. მშობელი კომპანიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 83,297 ათასი ლარით, რის შედეგადაც გაუქმდა მშობელი კომპანიის მიმართ არსებული საინვესტიციო მოთხოვნა.

(b) დივიდენდები

კომპანიის მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ნორმატიული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2020 და 2019 წლებში დივიდენდების განაწილება არ მომხდარა.

(c) გაცემული გარანტია

2020 წელს, კომპანიამ გასცა გარანტია მშობელ კომპანიაზე, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) დადებულ სასესხო ხელშეკრულებას უკავშირდება, 217 მილიონი ევროს ოდენობით, ანაზღაურების გარეშე, ევროობლიგაციების რეფინანსირების მიზნით, რომელთა დაფარვის ვადაა 2021 წლის აპრილი. ეს უკანასკნელი აღრიცხულია როგორც განაწილება მშობელ კომპანიაზე, მისი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც 42,103 ათას ლარს შეადგენს (იხ. შენიშვნა 13).

11. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

12. სესხები და კრედიტები

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის მატარებელი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებით ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-15 შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხი დაკავშირებული მხარისგან	267,426	173,435
	267,426	**173,435**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	9.5 %	2029	267,426	267,426	173,435	173,435
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				**267,426**	**267,426**	**173,435**	**173,435**

სესხები და კრედიტები წარმოადგენს მშობელი კომპანიისგან თბოსადგურის მშენებლობისთვის მიღებულ უზრუნველყოფილ სესხს, წლიური 9.5%–იანი საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის ვადით 2029 წელი.

სესხი უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, საბალანსო ღირებულებით 435,792 ათასი ლარი, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019 წლის 31 დეკემბერი: 344,962 ათასი ლარი) (იხ შენიშვნა 8 (a)).

(b) დაფინანსების საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	**173,435**	-
შემოსულობები სესხებიდან	54,226	157,244
სესხების დაფარვა	(10,000)	-
გადახდილი პროცენტი	(119)	-
სულ ცვლილებები დაფინანსების ფულადი ნაკადებიდან	**44,107**	**157,244**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**28,282**	**5,874**
სხვა ცვლილებები		
ფინანსურ ხარჯებში აღიარებული საპროცენტო ხარჯი	19,613	-
კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები	1,989	10,317
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**21,602**	**10,317**
ნაშთი 31 დეკემბერს	**267,426**	**173,435**

13. გაცემული გარანტია

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გაცემული გარანტია	38,595	-
	38,595	-
მიმდინარე ვალდებულებები		
გაცემული გარანტია	3,508	-
	3,508	-

მშობელმა კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), 217 მილიონი ევროს ოდენობით ევროობლიგაციების რეფინანსირების მიზნით, რომელთა დაფარვის ვადაა 2021 წლის აპრილი. 2020 წლის 30 სექტემბერს, კომპანიამ, შპს "გარდაბნის თბოსადგურმა" (კომპანიის მშოელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანია) და EBRD-მა გააფორმეს საგარანტიო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია და შპს "გარდაბნის თბოსადგური" შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად და ცალკ-ცალკე უზრუნველყონ მშობელი კომპანიის ვალდებულებები EBRD-თან დადებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში. საგარანტიო ხელშეკრულების მიხედვით, თუ მშობელი კომპანია არ გადაიხდის ნებისმიერ ოდენობას მისი დაფარვის ვადის დადგომისას სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით, გარანტები დაუყოვნებლივ გადაიხდიან აღნიშნულ ოდენობას მოთხოვნისას იმგვარად თითქოს ისინი წარმოადგენენ ძირითად მევალეებს და არა მხოლოდ თავდებებს.

რადგან კომპანიამ გასცა გარანტია მშობელ კომპანიაზე ანაზღაურების გარეშე, გარანტია აღირიცხება როგორც განაწილება მშობელ კომპანიაზე, მისი სამართლიანი ღირებულებით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, გარანტიის სამართლიანი ღირებულება 42,103 ათასი ლარის ტოლია (2019: ნული).

2020 წელს, შემოსავალი გარანტიიდან ნულის ტოლია. გარანტიიდან შემოსავლის აღიარება დაიწყება 2021 წლიდან, წრფივი მეთოდით, რადგან მშობელი კომპანია იყენებს მთლიან საკრედიტო დაქვემდებარებას 2021 წლის თებერვალში.

შეფასების ტექნიკა

ქვემოთ მოცემული შეფასების ტექნიკა გამოიყენება გარანტიის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის: *შემოსავლის მიდგომა და დისკონტირებული ფულადი ნაკადები*

შეფასების მოდელი ითვალისწინებს მთლიანი პერიოდის სასესხო გადახდების მთლიანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომის ფარგლებში, რომელიც დისკონტირებულია საქართველოს ბანკების მიერ კორპორატიულ კლიენტებზე უცხოურ ვალუტაში გამოშვებული გრძელვადიანი სასესხო განაკვეთების გამოყენებით გარანტიის გაცემის თარიღისთვის.

გარანტიის ოდენობის მთლიანი სამართლიანი ღირებულება გაიყო კომპანიასა და შპს "გარდაბნის თბოსადგურს" შორის მათი შესაბამისი წმინდა აქტივების წილის მიხედვით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება მესამე დონის სამართლიან ღირებულებად კლასიფიცირდა, ზემოაღნიშნულ შეფასების ტექნიკაში გამოყენებული შეტანილი მონაცემების საფუძველზე.

გარანტიის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მსჯელობები

კომპანიის მიერ გარანტიის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არის შემდეგი:

- დეფოლტის ალბათობა (PD) - მშობელი კომპანის დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა "ნაგულისხმები დეფოლტის ალბათობის გამოთვლა" შეფასების თარიღისთვის ნავაჭრი ინსტრუმენტების დაკვირვებადი შემოსავლიანობის საფუძველზე.
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) - ზარალი დეფოლტის შემთხვევაში შესაფასებლად კომპანიამ გაოიყენა არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხებისთვის კორპორატიული ვალის აღდგენის საშუალო განაკვეთი.

- დისკონტირების განაკვეთი - გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს საქართველოს ბანკების მიერ კორპორატიულ კლიენტებზე უცხოურ ვალუტაში გამოშვებული გრძელვადიანი სესხებისთვის, გარანტიის გაცემის თარიღისთვის.
- გარანტიის ოდენობა გაიყო კომპანიასა და შპს "გარდაბნის თბოსადგურს" შორის მათი შესაბამისი წმინდა აქტივების წილის მიხედვით.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ორი ძირითადი დაშვება, რომელთა მიმართებაშიც შეიძლება მოხდეს გონივრულად შესაძლო ცვლილება, რომელმაც შეიძლება გარანტიის სამართლიანი ღირეულების 10%-ზე მეტით ცვლილება გამოიწვიოს.

- დეფოლტის ალბათობის 2%-იანი ზრდა გარანტიის სამართლიან ღირებულებაზე 4,279 ათასი ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა.
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში 6%-იანი ზრდა გარანტიის სამართლიან ღირებულებაზე 4,714 ათასი ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა.

ზემოაღნიშნული მონაცემების იგივე პროცენტულობით შემცირებას, იგივე ოდენობის, მაგრამ საპირსპირო გავლენა ექნებოდა.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	16,653	21
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	3,626	15,859
	20,279	**15,880**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-15 შენიშვნაში.

15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს მათი სამართლიანი ღირებულებების გონივრულ მიახლოებას.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(b)(i);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(b)(ii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(b)(iii)).

ხელმძღვანელობას აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები.

საზედამხედველო საბჭო ზედამხედველობას უწევს, თუ როგორ აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ აკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის კლიენტების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ყველაზე დიდ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

		საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**შენიშვნა**	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
სავაჭრო მოთხოვნები		31,606	160
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	1,373	12,865
		32,979	**13,025**

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც საქმიანობენ მომხმარებლები. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 62% უკავშირდება ორ კლიენტთან განხორციელებული გაყიდვის ოპერაციებს.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეები.

როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი	31,606	160

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელი შეადგენს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების 19,653 ათას ლარს (31 დეკემბერი 2019: 160 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული მომხარებლებისთვის

კომპანია ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გარე შეფასებები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და ხელმისაწვდომი პრეს ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ (და არა მხოლოდ)) და მომხმარებლის ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიანიშნებს დეფოლტის რისკზე და შეესაბამება სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგის განმარტებებს.

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკის და სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის შესახებ2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	2020	2020	2020
	არ არის კრედიტუუნარო	კრედიტუუნარო	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი			
დაბალი რისკი	31,606	-	31,606
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**31,606**	**-**	**31,606**
ზარალის რეზერვი	-	-	-
	31,606	**-**	**31,606**

'000 ლარი	2019	2019	2019
	არ არის კრედიტუუნარო	კრედიტუუნარო	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი			
დაბალი რისკი	160	-	160
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**160**	**-**	**160**
ზარალის რეზერვი	-	-	-
	160	**-**	**160**

კომპანიის მიერ საკრედიტო რისკის დონეების განაწილება ხდება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს მოსალოდნელი ზარალის რისკი(გარე შეფასებები, ინფორმაცია კონტრაჰენტების პოტენციურ ფინანსურ სირთულეებზე და ვადაგადაცილებულ დღეებზე (და არა მხოლოდ)) და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით.

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს ოდენობები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები დაბალი რისკის მქონე კლიენტებზე არის მიკუთვნებადი არ არის კრედიტუუნარო და სრულად იქნება ამოღებული. შედეგად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის გაუფასურების რეზერვის ნაშთი მიჩნეულია უმნიშვნელოდ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანია, როგორც წესი, ფულად სახსრებს კარგი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში ინახავს. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო ნაშთების 95%-ზე მეტი ინახება ყველაზე დიდ ქართულ ბანკში მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ ეტაპზე. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისადმი კომპანიის მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების დროულად დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე ჰქონდეს 3 თვის მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ფულადი სახსრები. ეს გამორიცხავს პოტენციურ, ექსტრემალური ვითარებებით მიყენებულ დარტყმებს, რომელთა წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს სტიქიურ უბედურებებს და გლობალურ პანდემიას.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას:

31 დეკემბერი 2020

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
სესხები და კრედიტები	267,426	567,458	-	-	-	567,458
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,279	20,279	-	20,279	-	-
	287,705	**587,737**	**-**	**20,279**	**-**	**567,458**

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები	1-3 წლამდე	3-5 წლამდე
სესხები და კრედიტები	173,435	496,643	-	-	-	496,643
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,880	15,880	-	15,880	-	-
	189,315	**512,523**	-	**15,880**	-	**496,643**

არ არის მოსალოდნელი, რომ ვადიანობის ანალიზში შემავალი, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობებით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანია მოლაპარაკების პროცესშია მშობელ კომპანიასთან სესხის დაფარვის ზუსტი თარიღის დადგენის მიზნით.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, გარანტიის მთლიანი ოდენობა არის ნული და არ არის შეტანილი ზემოაღნიშნულ ცხრილში, რადგან მშობელმა კომპანიამ 2021 წლის თებერვალში გამოიყენა სესხის შესაბამისი ოდენობა. 2021 წლის ბიზნეს გეგმის პროექტის საფუძველზე კომპანია 2021 წელს 23,688 ათასი ლარის გადახდას გეგმავს.

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	50
სესხები და კრედიტები	(267,426)	(173,435)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,883)	(13,796)
წმინდა დაქვემდებარება	**(272,306)**	**(187,181)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2020	2019	2020	2019
1 აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარის კურსის გონივრული შესაძლო შესუსტება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი

	მოგება ან ზარალი და კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(27,231)
31 დეკემბერი 2019	
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(18,718)

ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში გამყარებას 31 დეკემბრისთვის, ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა, იმ დაშვებით რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, სესხის სამართლიანი ღირებულების ცვლილების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მომავალი ფულადი ნაკადების (სესხი ცვლადი განაკვეთით) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხების და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი

	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	1,373	12,865
ფინანსური ვალდებულებები	(267,426)	(173,435)
	(266,053)	**(160,570)**

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

16. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ობიექტებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის, ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

17. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". კომპანიის საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი" და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანიები გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია თანამშრომელთა სარგებლის ხარჯების კატეგორიაში:

'000 ლარი	2020	2019 გადაანგარიშებული
ხელფასები და ბონუსები	499	454
	499	**454**

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2020	2019 გადაანგარიშებული	2020	2019 გადაანგარიშებული
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	30,809	-	2,471	160
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	3,997	735	706	361
მიღებული სესხები:				
მშობელი კომპანია	54,226	157,244	267,426	173,435

მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი არის უზრუნველყოფილი (შენიშვნა 12). წინა და მიმდინარე წლებში არ ყოფილა აღიარებული ხარჯი უიმედო ან საეჭვო ვალებზე, დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში. 2020 და 2019 წლებში, მშობელი კომპანიისგან აღებულ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 21,602 ათას ლარს და 10,317 ათას ლარს შეადგენდა, შესაბამისად.

(d) ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების" გამონაკლისის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია წარმოდგენილია ზემოთ.

18. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის აფეთქებამ არსებითი გავლენა საქართველოში 2020 წლის თებერვლის ბოლოდან იქონია. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა და საქართველოს მთავრობამ დაიწყო გარკვეული ზომების მიღება ვირუსის შესაჩერებლად - დაწესდა შეზღუდვები ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე, ბიზნეს საზოგადოებისთვის იქნა მიცემული მითითება თანამშრომლების დისტანციურ მუშაობის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ და ა.შ. სოციალური დისტანცირების გასაუმჯობესებლად, სკოლები, რესტორნები, კინოთეატრები და სპორტული ღონისძიებები 2020 წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში იქნა შეჩერებული.

COVID-19– ის აფეთქებამ არსებითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ბიზნესგარემოზე გლობალურ დონეზე და საქართველოში. 2020 წლისთვის საქართველოს მშპ-ს რეალური წლიური ცვლილება ნავარაუდებია უარყოფით 6.1%-ზე (საქსტატის თანახმად), 2019 და 2018 წლებში დადებით 5.1% და 4.8%-თან შედარებით (შესაბამისად).

ენერგეტიკისა და კომუნალური სექტორი უფრო მდგრადია, ვიდრე სხვა სექტორების უმეტესობა. COVID-19 აფეთქებას არ აქვს და მოსალოდნელი არ არის, რომ ექნება დაუყოვნებელი მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ კარანტინის პერიოდის გახანგრძლივებას, მსგავსი ზომების სიმკაცრის ზრდას, ან მსგავსი ზომების შედეგად უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნება უარყოფითი გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. კომპანია ასევე ითვალისწინებს მოვლენათა უარყოფითი განვითარების ვარიანტებს და მზად არის, შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები.

19. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

20. შეცდომების გასწორება

(a) ავანსები - არასწორი კლასიფიკაცია

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის არასწორად იყო წარმოდგენილი მიმდინარე აქტივებში "ავანსები და სხვა მოთხოვნების" მუხლში. შედეგად, ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, "ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის" ნაშთი და შედეგად, მთლიანი გრძელვადიანი აქტივების ოდენობა იქნა წარმოდგენილი ნაკლებობით, ხოლო ავანსები და შედეგად, მთლიანი მიმდინარე აქტივების ოდენობა იქნა წარმოდგენილი ზედმეტობით.

(b) სესხები და კრედიტები - არასწორი კლასიფიკაცია

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 4,764 ათასი ლარის ოდენობით "სესხები და კრედიტების" ნაწილი არასწორად იყო წარმოდგენილი მიმდინარე ვალდებულების სახით. შედეგად, ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სესხებისა და კრედიტების ნაშთი გრძელვადიანი ვალდებულებების ფარგლებში და შედეგად, მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებების ოდენობა, იქნა წარმოდგენილი ნაკლებობით, ხოლო მიმდინარე სესხები და კრედიტები და შედეგად, მთლიანი მიმდინარე ვალდებულებების ოდენობა იქნა წარმოდგენილი ზედმეტობით.

(c) ჯარიმის დარიცხვის შეწყვეტა

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ძირითად კონტრაჰენტზე დარიცხული ჯარიმა, რომელიც თბოსადგურის მშენებლობას უკავშირდებოდა და 2019 წელზე მიკუთვნებადი, შესაბამისი ვალდებულების ნაშთის დაკავშირებული კორექტირება, არ იყო აღრიცხული სწორ პერიოდში. შედეგად, ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი იქნა წარმოდგენილი ზედმეტობით ხოლო სხვა შემოსავლისა და ფინანსური ხარჯების ოდენობები იქნა წარმოდგენილი ნაკლებობით.

(d) დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ხელმძღვანელობის ანაზღაურება არ მოიცავდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას და მმართველობის წევრთა სხვა სარგებელს 74 ათასი ლარის ოდენობით. ამასთანავე, "საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებთან" დადებული გარიგებები არ ყოფილა წარმოდგენილი ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარდა ამისა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შესაბამის ახსნა-განმარტებებში განხორციელდა კლასიფიკაციის (რომლებიც წარმოდგენილია ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში) შემდეგი ცვლილებები:

შეცდომები იქნა გასწორებული, წინა პერიოდებისთვის თითოეული ზეგავლენილი ფინანსური ანგარიშგების მუხლის გადაანგარიშების გზით. შემდეგი ცხრილები აჯამებს გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე:

(e) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 ლარი	შეცდომის გასწორების გავლენა		
1 იანვარი 2019 წელი	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	-	62,592	62,592
ავანსები მიმდინარე აქტივებისთვის და ხარჯებისთვის	147,662	(62,592)	85,070
სულ აქტივები	**349,699**	**-**	**349,699**
სულ ვალდებულებები	**164**	**-**	**164**
დაგროვილი ზარალი	(658)	-	(658)
სულ კაპიტალი	**349,535**	**-**	**349,535**

'000 ლარი	შეცდომის გასწორების გავლენა		
31 დეკემბერი 2019	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	-	95,562	95,562
ავანსები მიმდინარე აქტივებისთვის და ხარჯებისთვის	95,562	(95,562)	-
სულ აქტივები	**454,351**	**-**	**454,351**
სესხები და კრედიტები (გრძელვადიანი)	168,671	4,764	173,435
სესხები და კრედიტები (მიმდინარე)	4,764	(4,764)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,533	(8,653)	15,880
სულ ვალდებულებები	**199,902**	**(8,653)**	**191,249**
დაგროვილი ზარალი	(12,460)	8,653	(3,807)
სულ კაპიტალი	**254,449**	**8,653**	**263,102**

(f) მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი

	შეცდომის გასწორების გავლენა		
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
სხვა შემოსავალი	86	8,889	8,975
ფინანსური ხარჯები	(7,138)	(236)	(7,374)
ზარალი და სხვა სრული ზარალი წლის განმავლობაში	**(11,802)**	**8,653**	**(3,149)**

(g) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი

	შეცდომის გასწორების გავლენა		
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,792)	652	(1,140)
გადასახადების დაბრუნება	13,791	(13,791)	-
მიღებული პროცენტი	579	(579)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**12,578**	**(13,718)**	**11,804**
მიღებული პროცენტი	-	247	247
ძირითადი საშუალებების შეძენა	(196,992)	13,469	(183,523)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(196,992)**	**13,716**	**(183,276)**
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**159,017**	**-**	**159,017**

13,791 ათასი ლარის ოდენობით გადასახადები არასწორად იყო წარმოდგენილი ცალკე მუხლის სახით - "გადასახადების დაბრუნება", საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრების ფარგლებში. ძირითადი საშუალებების შეძენა იქნა ზედმეტობით წარმოდგენილი (იგივე ოდენობით), რის შედეგადაც მოხდა საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი სახსრების და საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი სახსრების ზედმეტობით წარდგენა.

კომპანიის მიერ განხორციელებული სხვა ცვლილებები 2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ხელმძღვანელობის მიერ მიჩნეულია არა-არსებითად.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

გარკვეული შესადარისი ოდენობები დაკორექტირდა შეცდომების გასწორების შედეგად (იხილეთ შენიშვნა 20).

ქვემოთ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ გვერდებზე:

(a) შემოსავალი 32
(b) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები 32
(c) უცხოური ვალუტა 33
(d) მოგების გადასახადი 33
(e) მარაგები 34
(f) ძირითადი საშუალებები 34
(g) ფინანსური ინსტრუმენტები 36
(h) გაუფასურება 38
(i) ანარიცხები 40
(j) გაცემული გარანტია 41

(a) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

(b) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი" არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გახდა კრედიტუუნარო, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტუუნარო, მაშინ საპროცენტო შემოსავალის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ამონაგები ან ზარალი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის წარმოდგენილი უცხოური ვალუტის მოძრაობა - წმინდა მოგების, თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგაქვითვა ხელმისაწვდომია გადახდილ მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს გადასახადებს ამგვარ ერთეულებზე, გადასახადის სახით, მოგების გადასახადის გარდა.

(e) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება "ფიფო" (პირველი შემოვიდა პირველი გავიდა) პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(f) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა

მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები). გაზის ტურბინის ფრთების ძირითადი კაპიტალური რემონტი, რომელიც შეფასებულია 19,121 ათასი ლარით და წარმოდგენილია ელექტროენერგიის მწარმოებელ ერთეულში, და მოსალოდნელია, რომ უნდა ჩატარდეს ყოველ 8 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით;

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

მრავალწლიანი კაპიტალური რემონტის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება, როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით; ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 10-25 წელი;
- ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული 5-25 წელი;
- ძირითადი კაპიტალური რემონტის ხარჯები 8 წელი;
- სხვა 5-10 წლამდე

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(g) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე როგორ აღირიცხება, ამორტიზირებული ღირებულებით.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით გამოწვეული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და ამონაგები და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iv) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას ამჟამად აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(h) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სასესხო ინვესტიციებზე; და
- სახელშეკრულებო აქტივებზე.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტუუნარო ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები კრედიტუუნარო. ფინანსური აქტივი „კრედიტუუნაროა", როდესაც ფინანსური აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი კრედიტუუნაროა, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინები. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(i) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი

ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტერებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების უკუგება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(j) გაცემული გარანტია

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც კომპანიას მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი რომელსაც ის გასწევს რადგან კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინასური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება შემდეგნაირად: ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრულ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას (გამოკლებული, შესაბამისობის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპების მიხედვით აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობა) შორის უდიდესით.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2021 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)*
- *საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).*
- *COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები (ფასს 16-ის კორექტირება).*
- *ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).*
- *კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);*
- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები*

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210536134
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.05.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლანა მაჭავარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 10 16 08
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	15080678313721

მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830, პირადობის მოწმობა № 113IL59605, გაცემულია 12.06.2015 წ., მცხოვრები: თბილისი, ამაშუკელის 16) ხელმოწერის ნამდვილობას დოკუმენტის - შპს "გარდაბნის თბოსადგური 2"-ს 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე.
თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანმცოდნეობის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.
მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.
გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 4 ეგზემპლარზე შესრულებული 164 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 328 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების N507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 59 ლარი და 04 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების N507-ის 39-ე მუხლისა): სულ გადახდილია 387(სამას ოთხმოცდაშვიდი) ლარი და 04 (ოთხი)თეთრი.

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


შეკვერილია N
ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი

შპს "გარდაბნის თბოსადგური 2"

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან" დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

საკითხის მნიშვნელობა

ჩვენ ყურადღებას ფინანსური ანგარიშგების 20-ე შენიშვნაზე ვამახვილებთ, რომელიც აღწერს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არის გადაანგარიშებული. მოცემული საკითხის გათვალისწინებით ჩვენი დასკვნა არ იცვლება.

შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისთვის, რომელთა საფუძველზეც არის შედგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 1 იანვრისთვის, ფინანსური ანგარიშგების 20-ე შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების გარდა, იქნა აუდიტირებული სხვა აუდიტორების მიერ, რომლებმაც გამოთქვეს უცვლელი დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 22 მარტს და 2019 წლის 24 მაისს.

შპს “KPMG Georgia”, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

ჩვენ მიერ ჩატარებული, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ნაწილის სახით, ჩვენ ჩავატარეთ 20-ე შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომლებიც გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაციის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადასაანგარიშებლად. ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა 2019 წლის 31 დეკემბრით ან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების ფინანსური ანგარიშგების (არ არის წარმოდგენილი) ან 2019 წლის 1 იანვრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების აუდიტში, მიმოხილვაში ან ნებისმიერ პროცედურაში, გარდა ფინანსური ანგარიშგების 20-ე შენიშვნაში წარმოდგენილ კორექტირებებთან მიმართებაში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ დასკვნას ან სხვა სახის რწმუნებას აღნიშნულ შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ მთლიანობაში. თუმცა, ჩვენი აზრით, 20-ე შენიშვნაში აღწერილი კორექტირებები არის შესაბამისი და სწორად იქნა გამოყენებული.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლების მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საღრიცხვო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.

— ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ირინა გევორგიანი

შპს "KPMG Georgia"
21 მაისი 2021 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2019 გადაანგარიშებული*
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	467,379	345,725	158,335
არამატერიალური აქტივები		5	6	4
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		-	95,562	62,592
გრძელვადიანი აქტივები		**467,384**	**441,293**	**220,931**
მარაგები		8,809	33	2,051
საგადასახადო აქტივები		-	-	3,225
მოთხოვნები მშობელი კომპანიის მიმართ	10	-	-	85,070
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 (c)	31,606	160	144
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		318	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	1,373	12,865	38,278
მიმდინარე აქტივები		**42,106**	**13,058**	**128,768**
სულ აქტივები		**509,490**	**454,351**	**349,699**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	266,909	266,909	350,193
დაგროვილი ზარალი		(87,772)	(3,807)	(658)
სულ კაპიტალი		**179,137**	**263,102**	**349,535**
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	12	267,426	173,435	-
გაცემული გარანტია	13	38,595	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		**306,021**	**173,435**	**-**
გაცემული გარანტია	13	3,508	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	20,279	15,880	164
საგადასახადო ვალდებულებები		545	1,934	-
მიმდინარე ვალდებულებები		**24,332**	**17,814**	**164**
სულ ვალდებულებები		**330,353**	**191,249**	**164**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**509,490**	**454,351**	**349,699**

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით. იხილეთ შენიშვნა 20.

			2019
'000 ლარი	**შენიშვნა**	**2020**	**გადაანგარიშებული***
შემოსავალი	5	100,923	-
გაზის თვითღირებულება		(69,720)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(17,631)	(79)
პერსონალის ხარჯები		(3,921)	(1,877)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(4,132)	(2,568)
სხვა ხარჯები		(2,999)	(329)
სხვა შემოსავალი	6	4,599	8,975
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**7,119**	**4,122**
ფინანსური შემოსავალი	7	284	103
ფინანსური ხარჯები	7	(49,265)	(7,374)
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	**(48,981)**	**(7,271)**
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(41,862)**	**(3,149)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(41,862)**	**(3,149)**

* შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით და კლასიფიკაციაში ცვლილებების შედეგად. იხილეთ შენიშვნა 20.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 21 მაისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

მერაბ კიპაროიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი შენგელია
ფინანსური დირექტორი

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019 გადაანგარიშებული*
შემოსავალი	5	100,923	-
გაზის თვითღირებულება		(69,720)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(17,631)	(79)
პერსონალის ხარჯები		(3,921)	(1,877)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(4,132)	(2,568)
სხვა ხარჯები		(2,999)	(329)
სხვა შემოსავალი	6	4,599	8,975
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**7,119**	**4,122**
ფინანსური შემოსავალი	7	284	103
ფინანსური ხარჯები	7	(49,265)	(7,374)
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	**(48,981)**	**(7,271)**
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(41,862)**	**(3,149)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(41,862)**	**(3,149)**

* შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით და კლასიფიკაციაში ცვლილებების შედეგად. იხილეთ შენიშვნა 20.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 21 მაისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

მერაბ კიპაროიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი შენგელია
ფინანსური დირექტორი

'000 ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს		350,193	(658)	349,535
სულ სრული ზარალი				
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში (გადაანგარიშებული)		-	(3,149)	(3,149)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
მშობელი კომპანიის არაფულადი შენატანი		13	-	13
საწესდებო კაპიტალის შემცირება	10	(83,297)	-	(83,297)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)		**266,909**	**(3,807)**	**263,102**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს		266,909	(3,807)	263,102
სულ სრული ზარალი				
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	(41,862)	(41,862)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
გაცემული გარანტია	10	-	(42,103)	(42,103)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		**266,909**	**(87,772)**	**179,137**

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით. იხილეთ შენიშვნა 20.

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019 გადაანგარიშებული*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		69,576	-
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(75,972)	(1,140)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,396)**	**(1,140)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი	7	284	247
ძირითადი საშუალებების შეძენა		(49,477)	(183,523)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(49,193)**	**(183,276)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან	12	54,226	157,244
სესხების დაფარვა	12	(10,000)	-
გადახდილი პროცენტი	12	(119)	-
კაპიტალში შენატანი	10	-	1,773
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**44,107**	**159,017**
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(11,482)	(25,399)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	9	12,865	38,278
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(10)	(14)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	9	**1,373**	**12,865**

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების გასწორების გათვალისწინებით და კლასიფიკაციაში ცვლილებების შედეგად. იხილეთ შენიშვნა 20.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	12
2.	აღრიცხვის საფუძველი	13
3.	სამუშაო და წარდგენის ვალუტა	13
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	13
5.	შემოსავალი	14
6.	სხვა შემოსავალი	15
7.	წმინდა ფინანსური ხარჯები	15
8.	ძირითადი საშუალებები	16
9.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17
10.	კაპიტალი	17
11.	კაპიტალის მართვა	18
12.	სესხები და კრედიტები	18
13.	გაცემული გარანტია	19
14.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15.	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	21
16.	პირობითი ვალდებულებები	27
17.	დაკავშირებული მხარეები	28
18.	COVID-19-ის გავლენა	29
19.	შეფასების საფუძველი	29
20.	შეცდომების გასწორება	29
21.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	31
22.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	41

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" (შემდგომში "მშობელი კომპანია") მიერ 2016 წლის 1 სექტემბერს.

„კომპანიის“ რეგისტრირებული ოფისის მისამართია: დავით აღმაშენებლის ქუჩა 2 ბ, გარდაბანი 1301, საქართველო. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 426529759.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება. თბოელექტროსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტს კომპანიამ და ჰესის მშენებლობაზე პასუხისმგებელმა კონტრაჰენტმა ხელი 2020 წლის 28 თებერვალს მოაწერეს. 2020 წლის 25 მარტს, კომპანიამ მიიღო ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან (სემეკი).

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ფლობს სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (100%-იანი საკუთრება). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. მშობელი კომპანია აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 17-ე შენიშვნაში.

სემეკის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) მიერ მიღებული, 2020 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ დადგენილება N 46-ის თანახმად, საქართველოს და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის მიზნით, ქვეყანაში "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა" დაარსდა და 2021 წლის ივლისიდან, ენერგეტიკული საწარმოები ვალდებულნი არიან შეიძინონ და გაყიდონ ენერგია მხოლოდ "საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე".

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ზემოთ აღწერილ ცვლილებებს კანონებსა და რეგულაციებში არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 21 (f)(i) - ძირითადი საშუალებები - აღიარება და შეფასება;
- შენიშვნა 13 - გაცემული გარანტიები.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 15 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

'000 ლარი	2020	2019
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:		
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	100,923	-
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**100,923**	**-**

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება.

(b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან დაშლილია მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით.

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება	
'000 ლარი	2020	2019
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
საქართველო	100,923	-
	100,923	**-**

(c) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
"სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში" შეტანილი მოთხოვნები	31,606	160

(d) ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ელექტროენერგიის გაყიდვა	ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ როდესაც ელექტროენერგია მიწოდებულია და მოხმარებულია საბითუმო მომხმარებლის მიერ. ინვოისი გაიცემა ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურება ხორციელდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლოს.	შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად საბითუმო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე. მოხმარებული ელექტროენერგია იზომება მრიცხველებით.

6. სხვა შემოსავალი

'000 ლარი	2020	2019 გადაანგარიშებული
შემოსავალი ჯარიმებიდან	4,592	8,889
სხვა	7	86
სულ	**4,599**	**8,975**

"შემოსავალი ჯარიმებიდან" ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, 2020 და 2019 წლებში, მიკუთვნებადია სახელშეკრულებო ჯარიმებზე, რომლებიც დარიცხულია თბოელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადაგადაცილებულ დღეებზე.

7. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით	284	103
ფინანსური შემოსავალი	**284**	**103**
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(19,613)	-
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(29,652)	(7,374)
ფინანსური ხარჯები	**(49,265)**	**(7,374)**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(48,981)**	**(7,271)**

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობები	ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული	დაუმთავრებელი მშენებლობა	სათადარიგო ნაწილები	სხვა	სულ
თვითღირებულება ან სავარაუდო ღირებულება						
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,516	263	156,350	-	276	158,405
შესყიდვები	98	-	176,786	-	268	177,152
კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები	-	-	10,317	-	-	10,317
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,614**	**263**	**343,453**	**-**	**544**	**345,874**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,614	263	343,453	-	544	345,874
შესყიდვები	1,431	36	108,195	27,097	537	137,296
კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები	-	-	1,989	-	-	1,989
გადაცემები	1,465	452,027	(453,492)	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**4,510**	**452,326**	**145**	**27,097**	**1,081**	**485,159**
ცვეთა						
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	5	-	-	65	70
წლის ცვეთა	7	21	-	-	51	79
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**7**	**26**	**-**	**-**	**116**	**149**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	7	26	-	-	116	149
წლის ცვეთა	67	17,460	-	-	104	17,631
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**74**	**17,486**	**-**	**-**	**220**	**17,780**
საბალანსო ღირებულებები						
2019 წლის 1 იანვარს	**1,516**	**258**	**156,350**	**-**	**211**	**158,335**
2019 წლის 31 დეკემბერს	**1,607**	**237**	**343,453**	**-**	**428**	**345,725**
2020 წლის 31 დეკემბერს	**4,436**	**434,840**	**145**	**27,097**	**861**	**467,379**

(a) უზრუნველყოფა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონება საბალანსო ღირებულებით 435,792 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბერი: 344,962 ათასი ლარი) დაგირავებულია უზრუნველყოფილ სესხთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 12).

(b) თბოელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება

თბოელექტროსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს, როდესაც თბოელექტროსადგური მზად იყო დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და შეეძლო ემუშავა ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით. "ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეულის" ფარგლებში წარმოდგენილი თბოელექტროსადგურის ცვეთა 2020 წლის 12 თებერვალს დაიწყო, როდესაც ის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა. კომპანია ცვეთად ღირებულებას ანაწილებს წრფივი მეთოდით მისი სავარაუდო 25-წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე.

თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები შეადგენდა 1,989 ათას ლარს (2019: 10,317 ათასი ლარი), კაპიტალიზაციის განაკვეთით 9.5% (2019: 9.5%). კაპიტალიზაცია შეწყდა 2020 წლის 12 თებერვლიდან.

(c) კაპიტალური ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ დადო ხელშეკრულებები 3,254 ათასი ლარის ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების მშენებლობასა ან შეძენაზე (2019: 20,581 ათასი ლარი - ძირითადად დაკავშირებული თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან).

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკში არსებული ნაშთები	1,373	12,865
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	**1,373**	**12,865**

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-15 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი თავდაპირველად მშობელი კომპანიის გადაწყვეტილების საფუძველზე, 10,000 ათასი ლარით განისაზღვრა. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 350,193 ათას ლარს, ხოლო მშობელი კომპანიის მიმართ დაუფარავი საინვესტიციო მოთხოვნა 85,070 ათას ლარს შეადგენდა. 2019 წლის იანვრის განმავლობაში, მშობელმა კომპანიამ საწესდებო კაპიტალში განახორციელა 1,773 ათასი ლარის ოდენობით შენატანი ფულადი სახსრების სახით. მშობელი კომპანიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 83,297 ათასი ლარით, რის შედეგადაც გაუქმდა მშობელი კომპანიის მიმართ არსებული საინვესტიციო მოთხოვნა.

(b) დივიდენდები

კომპანიის მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ნორმატიული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2020 და 2019 წლებში დივიდენდების განაწილება არ მომხდარა.

(c) გაცემული გარანტია

2020 წელს, კომპანიამ გასცა გარანტია მშობელ კომპანიაზე, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) დადებულ სასესხო ხელშეკრულებას უკავშირდება, 217 მილიონი ევროს ოდენობით, ანაზღაურების გარეშე, ევროობლიგაციების რეფინანსირების მიზნით, რომელთა დაფარვის ვადაა 2021 წლის აპრილი. ეს უკანასკნელი აღრიცხულია როგორც განაწილება მშობელ კომპანიაზე, მისი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც 42,103 ათას ლარს შეადგენს (იხ. შენიშვნა 13).

11. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

12. სესხები და კრედიტები

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის მატარებელი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებით ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-15 შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხი დაკავშირებული მხარისგან	267,426	173,435
	267,426	**173,435**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	9.5 %	2029	267,426	267,426	173,435	173,435
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				**267,426**	**267,426**	**173,435**	**173,435**

სესხები და კრედიტები წარმოადგენს მშობელი კომპანიისგან თბოსადგურის მშენებლობისთვის მიღებულ უზრუნველყოფილ სესხს, წლიური 9.5%–იანი საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის ვადით 2029 წელი.

სესხი უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, საბალანსო ღირებულებით 435,792 ათასი ლარი, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019 წლის 31 დეკემბერი: 344,962 ათასი ლარი) (იხ შენიშვნა 8 (a)).

(b) დაფინანსების საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	**173,435**	**-**
შემოსულობები სესხებიდან	54,226	157,244
სესხების დაფარვა	(10,000)	-
გადახდილი პროცენტი	(119)	-
სულ ცვლილებები დაფინანსების ფულადი ნაკადებიდან	**44,107**	**157,244**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**28,282**	**5,874**
სხვა ცვლილებები		
ფინანსურ ხარჯებში აღიარებული საპროცენტო ხარჯი	19,613	-
კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები	1,989	10,317
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**21,602**	**10,317**
ნაშთი 31 დეკემბერს	**267,426**	**173,435**

13. გაცემული გარანტია

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გაცემული გარანტია	38,595	-
	38,595	**-**
მიმდინარე ვალდებულებები		
გაცემული გარანტია	3,508	-
	3,508	**-**

მშობელმა კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), 217 მილიონი ევროს ოდენობით ევროობლიგაციების რეფინანსირების მიზნით, რომელთა დაფარვის ვადაა 2021 წლის აპრილი. 2020 წლის 30 სექტემბერს, კომპანიამ, შპს "გარდაბნის თბოსადგურმა" (მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანია) და EBRD-მა გააფორმეს საგარანტიო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია და შპს "გარდაბნის თბოსადგური" შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად და ცალკ-ცალკე უზრუნველყონ მშობელი კომპანიის ვალდებულებები EBRD-თან დადებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში. საგარანტიო ხელშეკრულების მიხედვით, თუ მშობელი კომპანია არ გადაიხდის ნებისმიერ ოდენობას მისი დაფარვის ვადის დადგომისას სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით, გარანტები დაუყოვნებლივ გადაიხდიან აღნიშნულ ოდენობას მოთხოვნისას იმგვარად თითქოს ისინი წარმოადგენენ ძირითად მევალეებს და არა მხოლოდ თავდებებს.

რადგან კომპანიამ გასცა გარანტია მშობელ კომპანიაზე ანაზღაურების გარეშე, გარანტია აღირიცხება როგორც განაწილება მშობელ კომპანიაზე, მისი სამართლიანი ღირებულებით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, გარანტიის სამართლიანი ღირებულება 42,103 ათასი ლარის ტოლია (2019: ნული).

2020 წელს, შემოსავალი გარანტიიდან ნულის ტოლია. გარანტიიდან შემოსავლის აღიარება დაიწყება 2021 წლიდან, წრფივი მეთოდით, რადგან მშობელი კომპანია იყენებს მთლიან საკრედიტო დაქვემდებარებას 2021 წლის თებერვალში.

შეფასების ტექნიკა

ქვემოთ მოცემული შეფასების ტექნიკა გამოიყენება გარანტიის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის: *შემოსავლის მიდგომა და დისკონტირებული ფულადი ნაკადები*

შეფასების მოდელი ითვალისწინებს მთლიანი პერიოდის სასესხო გადახდების მთლიანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომის ფარგლებში, რომელიც დისკონტირებულია საქართველოს ბანკების მიერ კორპორატიულ კლიენტებზე უცხოურ ვალუტაში გამოშვებული გრძელვადიანი სასესხო განაკვეთების გამოყენებით გარანტიის გაცემის თარიღისთვის.

გარანტიის ოდენობის მთლიანი სამართლიანი ღირებულება გაიყო კომპანიასა და შპს "გარდაბნის თბოსადგურს" შორის მათი შესაბამისი წმინდა აქტივების წილის მიხედვით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება მესამე დონის სამართლიან ღირებულებად კლასიფიცირდა, ზემოაღნიშნულ შეფასების ტექნიკაში გამოყენებული შეტანილი მონაცემების საფუძველზე.

გარანტიის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მსჯელობები

კომპანიის მიერ გარანტიის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არის შემდეგი:

- დეფოლტის ალბათობა (PD) - მშობელი კომპანის დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა "ნაგულისხმები დეფოლტის ალბათობის გამოთვლა" შეფასების თარიღისთვის ნავაჭრი ინსტრუმენტების დაკვირვებადი შემოსავლიანობის საფუძველზე.
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) - ზარალი დეფოლტის შემთხვევაში შესაფასებლად კომპანიამ გაოიყენა არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხებისთვის კორპორატიული ვალის აღდგენის საშუალო განაკვეთი.

- დისკონტირების განაკვეთი - გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს საქართველოს ბანკების მიერ კორპორატიულ კლიენტებზე უცხოურ ვალუტაში გამოშვებული გრძელვადიანი სესხებისთვის, გარანტიის გაცემის თარიღისთვის.
- გარანტიის ოდენობა გაიყო კომპანიასა და შპს "გარდაბნის თბოსადგურს" შორის მათი შესაბამისი წმინდა აქტივების წილის მიხედვით.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ორი ძირითადი დაშვება, რომელთა მიმართებაშიც შეიძლება მოხდეს გონივრულად შესაძლო ცვლილება, რომელმაც შეიძლება გარანტიის სამართლიანი ღირეულების 10%-ზე მეტით ცვლილება გამოიწვიოს.

- დეფოლტის ალბათობის 2%-იანი ზრდა გარანტიის სამართლიან ღირებულებაზე 4,279 ათასი ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა.
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში 6%-იანი ზრდა გარანტიის სამართლიან ღირებულებაზე 4,714 ათასი ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა.

ზემოაღნიშნული მონაცემების იგივე პროცენტულობით შემცირებას, იგივე ოდენობის, მაგრამ საპირსპირო გავლენა ექნებოდა.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	16,653	21
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	3,626	15,859
	20,279	**15,880**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-15 შენიშვნაში.

15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს მათი სამართლიანი ღირებულებების გონივრულ მიახლოებას.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(b)(i);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(b)(ii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(b)(iii)).

ხელმძღვანელობას აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები.

საზედამხედველო საბჭო ზედამხედველობას უწევს, თუ როგორ აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ აკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის კლიენტების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ყველაზე დიდ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

		საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები		31,606	160
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	1,373	12,865
		32,979	**13,025**

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც საქმიანობენ მომხმარებლები. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 62% უკავშირდება ორ კლიენტთან განხორციელებული გაყიდვის ოპერაციებს.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეები.

როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
ადგილობრივი	31,606	160

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელი შეადგენს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების 19,653 ათას ლარს (31 დეკემბერი 2019: 160 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული მომხარებლებისთვის

კომპანია ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გარე შეფასებები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და ხელმისაწვდომი პრეს ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ (და არა მხოლოდ)) და მომხმარებლის ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიანიშნებს დეფოლტის რისკზე და შეესაბამება სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგის განმარტებებს.

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და მომხმარებლების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	**2020**	**2020**	**2020**
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	**არ არის კრედიტუუნარო**	**კრედიტუუნარო**	**სულ**
დაბალი რისკი	31,606	-	31,606
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**31,606**	**-**	**31,606**
ზარალის რეზერვი	-	-	-
	31,606	**-**	**31,606**

'000 ლარი	**2019**	**2019**	**2019**
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	**არ არის კრედიტუუნარო**	**კრედიტუუნარო**	**სულ**
დაბალი რისკი	160	-	160
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**160**	**-**	**160**
ზარალის რეზერვი	-	-	-
	160	**-**	**160**

კომპანია ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გარე შეფასებები, ინფორმაცია კონტრაჰენტების პოტენციურ ფინანსურ სირთულეებზე და ვადაგადაცილებულ დღეებზე (და არა მხოლოდ)) და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით.

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს ოდენობები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები დაბალი რისკის მქონე კლიენტებზე არის მიკუთვნებადი, არ არის კრედიტუუნარო და სრულად იქნება ამოღებული. შედეგად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის გაუფასურების რეზერვის ნაშთი მიჩნეულია უმნიშვნელოდ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანია, როგორც წესი, ფულად სახსრებს კარგი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში ინახავს. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო ნაშთების 95%-ზე მეტი ინახება ყველაზე დიდ ქართულ ბანკში მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ ეტაპზე. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისადმი კომპანიის მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების დროულად დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე ჰქონდეს 3 თვის მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ფულადი სახსრები. ეს გამორიცხავს პოტენციურ, ექსტრემალური ვითარებებით მიყენებულ დარტყმებს, რომელთა წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს სტიქიურ უბედურებებს და გლობალურ პანდემიას.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას:

31 დეკემბერი 2020

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
სესხები და კრედიტები	267,426	567,458	-	-	-	567,458
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,279	20,279	-	20,279	-	-
	287,705	**587,737**	**-**	**20,279**	**-**	**567,458**

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები	1-3 წლამდე	3-5 წლამდე
სესხები და კრედიტები	173,435	496,643	-	-	-	496,643
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,880	15,880	-	15,880	-	-
	189,315	**512,523**	-	**15,880**	**-**	**496,643**

არ არის მოსალოდნელი, რომ ვადიანობის ანალიზში შემავალი, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობებით. ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის კომპანია მოლაპარაკებების პროცესშია მშობელ კომპანიასთან სესხის დაფარვის ზუსტი გრაფიკის შესახებ.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, გარანტიის მთლიანი ოდენობა არის ნული და არ არის შეტანილი ზემოაღნიშნულ ცხრილში, რადგან მშობელმა კომპანიამ 2021 წლის თებერვალში გამოიყენა სესხის შესაბამისი ოდენობა. 2021 წლის ბიზნეს გეგმის პროექტის საფუძველზე კომპანია 2021 წელს 23,688 ათასი ლარის გადახდას გეგმავს.

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	50
სესხები და კრედიტები	(267,426)	(173,435)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,883)	(13,796)
წმინდა დაქვემდებარება	**(272,306)**	**(187,181)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2020	2019	2020	2019
1 აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარის კურსის გონივრული შესაძლო შესუსტება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი და კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(27,231)
31 დეკემბერი 2019	
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(18,718)

ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში გამყარებას 31 დეკემბრისთვის, ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირსპირო გავლენა, იმ დაშვებით რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, სესხის სამართლიანი ღირებულების ცვლილების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მომავალი ფულადი ნაკადების (სესხი ცვლადი განაკვეთით) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხების და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	1,373	12,865
ფინანსური ვალდებულებები	(267,426)	(173,435)
	(266,053)	**(160,570)**

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

16. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ობიექტებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის, ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

17. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". კომპანიის საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი" და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანიები გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია თანამშრომელთა სარგებლის ხარჯების კატეგორიაში:

'000 ლარი	2020	2019 გადაანგარიშებული
ხელფასები და ბონუსები	499	454
	499	**454**

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2020	2019 გადაანგარიშებული	2020	2019 გადაანგარიშებული
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	30,809	-	2,471	160
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	3,997	735	706	361
მიღებული სესხები:				
მშობელი კომპანია	54,226	157,244	267,426	173,435

მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი არის უზრუნველყოფილი (შენიშვნა 12). წინა და მიმდინარე წლებში არ ყოფილა აღიარებული ხარჯი უიმედო ან საეჭვო ვალებზე, დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში. 2020 და 2019 წლებში, მშობელი კომპანიისგან აღებულ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 21,602 ათას ლარს და 10,317 ათას ლარს შეადგენდა, შესაბამისად.

(d) ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების" გამონაკლისის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია წარმოდგენილია ზემოთ.

18. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის აფეთქებამ არსებითი გავლენა საქართველოში 2020 წლის თებერვლის ბოლოდან იქონია. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა და საქართველოს მთავრობამ დაიწყო გარკვეული ზომების მიღება ვირუსის შესაჩერებლად - დაწესდა შეზღუდვები ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე, ბიზნეს საზოგადოებისთვის იქნა მიცემული მითითება თანამშრომლების დისტანციურ მუშაობის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ და ა.შ. სოციალური დისტანცირების გასაუმჯობესებლად, სკოლები, რესტორნები, კინოთეატრები და სპორტული ღონისძიებები 2020 წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში იქნა შეჩერებული.

COVID-19– ის აფეთქებამ არსებითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ბიზნესგარემოზე გლობალურ დონეზე და საქართველოში. 2020 წლისთვის საქართველოს მშპ-ს რეალური წლიური ცვლილება ნავარაუდებია უარყოფით 6.1%-ზე (საქსტატის თანახმად), 2019 და 2018 წლებში დადებით 5.1% და 4.8%-თან შედარებით (შესაბამისად).

ენერგეტიკისა და კომუნალური სექტორი უფრო მდგრადია, ვიდრე სხვა სექტორების უმეტესობა. COVID-19 აფეთქებას არ აქვს და მოსალოდნელი არ არის, რომ ექნება დაუყოვნებელი მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ კარანტინის პერიოდის გახანგრძლივებას, მსგავსი ზომების სიმკაცრის ზრდას, ან მსგავსი ზომების შედეგად უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნება უარყოფითი გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. კომპანია ასევე ითვალისწინებს მოვლენათა უარყოფითი განვითარების ვარიანტებს და მზად არის, შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები.

19. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

20. შეცდომების გასწორება

(a) ავანსები - არასწორი კლასიფიკაცია

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის არასწორად იყო წარმოდგენილი მიმდინარე აქტივებში "ავანსები და სხვა მოთხოვნების" მუხლში. შედეგად, ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, "ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის" ნაშთი და შედეგად, მთლიანი გრძელვადიანი აქტივების ოდენობა იქნა წარმოდგენილი ნაკლებობით, ხოლო ავანსები და შედეგად, მთლიანი მიმდინარე აქტივების ოდენობა იქნა წარმოდგენილი ზედმეტობით.

(b) სესხები და კრედიტები - არასწორი კლასიფიკაცია

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 4,764 ათასი ლარის ოდენობით "სესხები და კრედიტების" ნაწილი არასწორად იყო წარმოდგენილი მიმდინარე ვალდებულების სახით. შედეგად, ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სესხებისა და კრედიტების ნაშთი გრძელვადიანი ვალდებულებების ფარგლებში და შედეგად, მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებების ოდენობა, იქნა წარმოდგენილი ნაკლებობით, ხოლო მიმდინარე სესხები და კრედიტები და შედეგად, მთლიანი მიმდინარე ვალდებულებების ოდენობა იქნა წარმოდგენილი ზედმეტობით.

(c) ჯარიმის დარიცხვის შეწყვეტა

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ძირითად კონტრაჰენტზე დარიცხული ჯარიმა, რომელიც თბოსადგურის მშენებლობას უკავშირდებოდა და 2019 წელზე მიკუთვნებადი, შესაბამისი ვალდებულების ნაშთის დაკავშირებული კორექტირება, არ იყო აღრიცხული სწორ პერიოდში. შედეგად, ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი იქნა წარმოდგენილი ზედმეტობით ხოლო სხვა შემოსავლისა და ფინანსური ხარჯების ოდენობები იქნა წარმოდგენილი ნაკლებობით.

(d) დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ხელმძღვანელობის ანაზღაურება არ მოიცავდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას და მმართველობის წევრთა სხვა სარგებელს 74 ათასი ლარის ოდენობით. ამასთანავე, "საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებთან" დადებული გარიგებები არ ყოფილა წარმოდგენილი ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარდა ამისა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შესაბამის ახსნა-განმარტებებში განხორციელდა კლასიფიკაციის (რომლებიც წარმოდგენილია ადრე გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებაში) შემდეგი ცვლილებები:

შეცდომები იქნა გასწორებული, წინა პერიოდებისთვის თითოეული ზეგავლენილი ფინანსური ანგარიშგების მუხლის გადაანგარიშების გზით. შემდეგი ცხრილები აჯამებს გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე:

(e) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 ლარი	შეცდომის გასწორების გავლენა		
1 იანვარი 2019 წელი	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	-	62,592	62,592
ავანსები მიმდინარე აქტივებისთვის და ხარჯებისთვის	147,662	(62,592)	85,070
სულ აქტივები	**349,699**	**-**	**349,699**
სულ ვალდებულებები	**164**	**-**	**164**
დაგროვილი ზარალი	(658)	-	(658)
სულ კაპიტალი	**349,535**	**-**	**349,535**

'000 ლარი	შეცდომის გასწორების გავლენა		
31 დეკემბერი 2019	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	-	95,562	95,562
ავანსები მიმდინარე აქტივებისთვის და ხარჯებისთვის	95,562	(95,562)	-
სულ აქტივები	**454,351**	**-**	**454,351**
სესხები და კრედიტები (გრძელვადიანი)	168,671	4,764	173,435
სესხები და კრედიტები (მიმდინარე)	4,764	(4,764)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,533	(8,653)	15,880
სულ ვალდებულებები	**199,902**	**(8,653)**	**191,249**
დაგროვილი ზარალი	(12,460)	8,653	(3,807)
სულ კაპიტალი	**254,449**	**8,653**	**263,102**

(f) მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შეცდომის გასწორების გავლენა		
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
სხვა შემოსავალი	86	8,889	8,975
ფინანსური ხარჯები	(7,138)	(236)	(7,374)
ზარალი და სხვა სრული ზარალი წლის განმავლობაში	**(11,802)**	**8,653**	**(3,149)**

(g) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	შეცდომის გასწორების გავლენა		
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**კორექტირებები**	**გადაანგარიშებულის შესაბამისად**
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,792)	652	(1,140)
გადასახადების დაბრუნება	13,791	(13,791)	-
მიღებული პროცენტი	579	(579)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**12,578**	**(13,718)**	**11,804**
მიღებული პროცენტი	-	247	247
ძირითადი საშუალებების შეძენა	(196,992)	13,469	(183,523)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(196,992)**	**13,716**	**(183,276)**
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**159,017**	**-**	**159,017**

13,791 ათასი ლარის ოდენობით გადასახადები არასწორად იყო წარმოდგენილი ცალკე მუხლის სახით - "გადასახადების დაბრუნება", საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრების ფარგლებში. ძირითადი საშუალებების შეძენა იქნა ზედმეტობით წარმოდგენილი (იგივე ოდენობით), რის შედეგადაც მოხდა საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი სახსრების და საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი სახსრების ზედმეტობით წარდგენა.

კომპანიის მიერ განხორციელებული სხვა ცვლილებები 2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ხელმძღვანელობის მიერ მიჩნეულია არა-არსებითად.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

გარკვეული შესადარისი ოდენობები დაკორექტირდა შეცდომების გასწორების შედეგად (იხილეთ შენიშვნა 20).

ქვემოთ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ გვერდებზე:

(a) შემოსავალი 32
(b) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები 32
(c) უცხოური ვალუტა 33
(d) მოგების გადასახადი 33
(e) მარაგები 34
(f) ძირითადი საშუალებები 34
(g) ფინანსური ინსტრუმენტები 36
(h) გაუფასურება 38
(i) ანარიცხები 40
(j) გაცემული გარანტია 41

(a) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

(b) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გახდა კრედიტუუნარო, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტუუნარო, მაშინ საპროცენტო შემოსავალის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ამონაგები ან ზარალი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის წარმოდგენილი უცხოური ვალუტის მოძრაობა - წმინდა მოგების, თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგაქვითვა ხელმისაწვდომია გადახდილ მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს გადასახადებს ამგვარ ერთეულებზე, გადასახადის სახით, მოგების გადასახადის გარდა.

(e) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება "ფიფო" (პირველი შემოვიდა პირველი გავიდა) პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(f) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა

მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები). გაზის ტურბინის ფრთების ძირითადი კაპიტალური რემონტი, რომელიც შეფასებულია 19,121 ათასი ლარით და წარმოდგენილია ელექტროენერგიის მწარმოებელ ერთეულში, და მოსალოდნელია, რომ უნდა ჩატარდეს ყოველ 8 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით;

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

მრავალწლიანი კაპიტალური რემონტის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება, როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით; ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 10-25 წელი;
- ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული 5-25 წელი;
- ძირითადი კაპიტალური რემონტის ხარჯები 8 წელი;
- სხვა 5-10 წლამდე

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(g) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე როგორ აღირიცხება, ამორტიზირებული ღირებულებით.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით გამოწვეული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და ამონაგები და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iv) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას ამჟამად აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(h) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სასესხო ინვესტიციებზე; და
- სახელშეკრულებო აქტივებზე.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტუუნარო ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები კრედიტუუნარო. ფინანსური აქტივი „კრედიტუუნაროა“, როდესაც ფინანსური აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი კრედიტუუნაროა, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინები. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(i) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი

ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტერებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების უკუგება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(j) გაცემული გარანტია

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც კომპანიას მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი რომელსაც ის გასწევს რადგან კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინასური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება შემდეგნაირად: ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრულ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას (გამოკლებული, შესაბამისობის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპების მიხედვით აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობა) შორის უდიდესით.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2021 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)*
- *საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).*
- *COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები (ფასს 16-ის კორექტირება).*
- *ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).*
- *კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);*
- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები*

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ წარმოადგენს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შვილობილ კომპანიას, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%-ს. შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ არის ორდონიანი მართვის სისტემის მქონე მეწარმე სუბიექტი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური დირექტორი, ხოლო პარალელურად კომპანიას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე ახდენს კომპანიის მენეჯმენტის მიერ მისაღები/მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების ავტორიზაციას/რევიზიას. კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა კრება.

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ დაფუძნდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის მეორე ენერგოეფექტური თბოელექტროსადგურის მშენებლობის და შემდგომში მისი ოპერირების (ელექტროენერგიის გენერაცია და რეალიზაცია) მიზნით.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი და ტექნიკური დირექტორი. თავის მხრივ, გენერალურ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე; მასვე ექვემდებარება პროექტის მართვის საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება კონკრეტული პროფილური მიმართულების მრჩეველთა პოზიციური ერთეულებისგან.

იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში მოხდა თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვება და კომერციული ოპერირების დაწყება, „კომპანიის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა ოპტიმიზებული იქნა და მაქსიმალურად მიუახლოვდა რეგულარული საოპერაციო აქტივობისთვის საჭირო შემადგენლობას.


2. ძირითადი აქტივობები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „კომპანიის“ მხრიდან განხორციელებული ძირითადი საქმიანობა და მნიშვნელოვანი მოვლენები უკავშირდება შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რეზიდენტ კომპანია - China Tianchen Engineering Corporation-ს (შემდგომში - TCC ან კონტრაქტორი) შორის 2016 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული EPC კონტრაქტის (შემდგომში - EPC კონტრაქტი ან EPC ხელშეკრულება) შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტში 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის მეორე ენერგოეფექტური

თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის (შემდგომში ასევე - პროექტი) განგრძობადი იმპლემენტაციის პროცესს. ამ მხრივ, აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

2.1 თბოსადგურის მშენებლობის წარმატებული დასრულება.

როგორც გასული პერიოდის მმართველობითი ანგარიშგების დოკუმენტშიც იქნა აღნიშნული, „კონტრაქტორმა“ თბოელექტროსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დაასრულა ჯერ კიდევ 2019 წლის III კვარტალში, ხოლო იმავე წლის წლის 5 დეკემბრიდან ობიექტი ოპერირებდა „საცდელი გაშვებისა და კომპლექსური გასინჯვის“ რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა თბოელექტროსადგურის ძირითადი მოწყობილობებისა და დამხმარე აგრეგატების ფუნქციურ-ტექნოლოგიური ინტეგრაციის შემოწმება და მიმდინარეობდა საცდელ რეჟიმში გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოს ენერგოსისტემისთვის.

თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე არსებული 220/11 კვ ქვესადგური, რომელიც უზრუნველყოფს გამომუშავებული ელექტროენერგიის გადამცემი ქსელისთვის მიწოდებას

აღნიშნულ რეჟიმში თბოელექტროსადგურის ექსპლუატაცია ასევე გაგრძელდა 2020 წლის იანვარ-თებერვალში, რომელზეც აქტიურ მონიტორინგს ახორციელებდა პროექტის ფარგლებში დაქირავებული საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია - Poyry Switzerland Ltd (***შენიშვნა**: მერჯერის შედეგად 2020 წლის 1 აპრილიდან კომპანიის სახელწოდება შეიცვალა და გახდა AFRY Switzerland Ltd).* ტესტირება მიმდინარეობდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის (შემდგომში - „სემეკი“) მიერ 2014 წლის 17 აპრილის No.10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:

- სიხშირის პირველადი რეგულირების ტესტი #21 და #22 აირტურბინებისათვის;
- რეაქტიული სიმძლავრის მახასიათებლის ტესტი #21 & #22 აირტურბინული აგრეგატებისთვის, აგრეთვე ორთქლის ტურბინისათვის;
- ქსელში შეშფოთებისას დანადგარის სტაბილიზაციის ტესტი #21 & #22 აირ-ტურბინებისა და ორთქლის ტურბინისათვის.

ამასთან, EPC კონტრაქტის თანახმად, საცდელი გაშვებისა და კომპლექსური გასინჯვის (ე.წ. „commissioning“) პროცესის დასრულებისთვის აუცილებელ დამატებით პირობას წარმოადგენდა „მწარმოებლურობისა“ (Performance Test) და „სანდოობის“ (Reliability run) ტესტების წარმატებით ჩაბარებაც, რომელთაგან პირველი გულისხმობდა თბოელექტროსადგურის მიერ EPC ხელშეკრულებით გარანტირებული ტექნიკური პარამეტრების (*Gross გამომუშავება, Net ეფექტურობა და ხმაურის ემისიები*) მიღწევის/დაკმაყოფილების შემოწმებას, ხოლო მეორე მათგანი - საბაზისო სიმძლავრეზე თბოელექტროსადგურის მიერ 72 საათიან უწყვეტ ოპერირებას.

TCC-იმ „მწარმოებლურობის“ ტესტი პირველივე ცდაზე წარმატებით ჩააბარა 2020 წლის 29 იანვარს, რა დროსაც სრულად იქნა დაკმაყოფილებული EPC კონტრაქტით მოთხოვნილი გარანტირებული პარამეტრები. უფრო მეტიც, ტესტირების შედეგად დემონსტრირებული იქნა თბოელექტროსადგურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საოპერაციო პარამეტრის - ჯამური გამომუშავების (Gross output) გაცილებით უფრო მაღალი მნიშვნელობა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო EPC ხელშეკრულებით. კერძოდ, ამ უკანასკნელით მინიმალურ გარანტირებულ პარამეტრს წარმოადგენდა 234.944 მგვტ სიმძლავრე, მაშინ როდესაც „მწარმოებლურობის“ ტესტით ნაჩვენებმა შედეგმა ფაქტიური გაზომვის საფუძველზე შეადგინა 242.649 მგვტ, ხოლო ISO კორექციის მრუდის გათვალისწინებით - 246.319 მგვტ.

„მწარმოებლურობის“ ტესტის წარმატებით დასრულების შემდეგ „კონტრაქტორმა“ დაუყოვნებლივ დაიწყო მზადება „სანდოობის“ ტესტისთვის, რომელიც წარმოადგენდა გენერაციის ობიექტის შემოწმების უკანასკნელ ეტაპს. თავის მხრივ, „სანდოობის“ ტესტის დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი იყო 96 საათის განმავლობაში თბოელექტროსადგურის ოპერირების შემოწმება ცვალებად სიმძლავრეებზე, რომელიც თავის თავში ასევე მოიაზრებდა გადამცემ ქსელთან 10-ჯერ დესინქრონიზაციას და ხელახალ სინქრონიზაციას, რაც TCC-ის მიერ წარმატებით იქნა დაძლეული 2020 წლის 7 თებერვალს. საბოლოოდ, „სანდოობის“ ტესტის დასკვნით ეტაპზე გენერაციის ობიექტის გადაყვანა მოხდა 2020 წლის 9 თებერვალს, რის შემდეგაც თბოელექტროსადგურმა საბაზისო სიმძლავრეზე შეუფერხებლად იმუშავა

72 საათის განმავლობაში და შესაბამისად, მისი ტესტირება დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს. აღნიშნულის შედეგად, „კონტრაქტორის“ მხრიდან დემონსტრირებული იქნა EPC ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ობიექტის - ფუნქციონირებადი და ოპერირებაუნარიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის წარმატებით განხორციელება, რის გამოც მან დაუყოვნებლივ წარმოადგინა მოთხოვნა დამკვეთის მხრიდან ობიექტის მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის (ე.წ. “Taking-Over Certificate”) გაცემის თაობაზე.

2.2 ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის მოპოვება და PPA ხელშეკრულების გაფორმება.

„ლიცენზიებისა და ნებართების“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტროენერგიის წარმოება განეკუთვნება საქმიანობის ლიცენზიის სახეს და აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად, საჭიროა ლიცენზიის მოპოვება „სემეკი“-დან. თავის მხრივ, ლიცენზიის გაცემის პროცესი წარმოადგენს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების სახეს, რომელიც ლიცენზიის გაცემისთვის განსაზღვრავს დამატებით პროცედურულ დეტალებს, მათ შორის - საჯარო განხილვის ჩატარების აუცილებლობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულება ხანგრლივი პროცესია და საჭიროებს დაახლოებით ერთ კალენდარულ თვეს.

ლიცენზიის გაცემის მოთხოვნით, „კომპანიამ“ „სემეკს“ წერილობით მიმართა 2020 წლის 24 თებერვალს, როგორც კი კონსოლიდირებული იქნა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად სალიცენზიო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად აუცილებელი დოკუმენტაციის მინიმალური პაკეტი, საჯარო განხილვის ჩატარებამდე „საზოგადოების“ მხრიდან უმოკლეს ვადებში მომზადდა და „სემეკს“ წარედგინა სალიცენზიო დოკუმენტაციის სრულყოფილი პაკეტი. საბოლოოდ, „სემეკმა“ შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ზე ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია გასცა 2020 წლის 25 მარტს (ლიცენზია No.93), რომლის საფუძველზეც „კომპანიას“ ოფიციალურად მიენიჭა ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება.

აღნიშნულის შემდეგ, „კომპანიამ“ დაუყოვნებლივ მიმართა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ (შემდგომში - „ესკო“) საბითუმო ვაჭრობაში „წარმოების ლიცენზიატის“ სტატუსით მონაწილედ რეგისტრაციაზე, ხოლო ამ უკანასკნელმა „საზოგადოების“ რეგისტრაცია განახორციელა 2020 წლის 27 მარტს. პარალელურად, „კომპანია“ აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა „ესკო“-სთან ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების („PPA ხელშეკრულება“) გაფორმების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ „საზოგადოების“ მხრიდან ელექტროენერგიის სარეალიზაციო

ტარიფის ზედა ზღვარი უკვე დადგენილი იყო 2016 წლის 28 სექტემბერს საქართველოს მთავრობასთან და „ესკო“-სთან გაფორმებული ე.წ. „განხორციელების ხელშეკრულებით“ (Implementation Agreement), თუმცა უშუალოდ სიმძლავრით ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურული თუ კომერციული დეტალების ეფექტური ადმინისტირება მაინც მოითხოვდა „PPA ხელშეკრულების“ გაფორმებას, რაც დღემდე შეესაბამება „ესკო“-ს მხრიდან გარანტირებული შესყიდვის პროცესის ორგანიზების ზოგად პრაქტიკას. საბოლოოდ, ამ უკანასკნელთან მოლაპარაკებების შედეგად, „PPA ხელშეკრულების“ გაფორმება შესაძლებელი გახდა და მხარეებმა დოკუმენტს ხელი მოაწერეს 2020 წლის 30 მარტს. თავის მხრივ, ხსენებული ხელშეკრულება დამატებით დარეგისტრიდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან და იურიდიული ძალა შეიძინა 2020 წლის 1 მაისიდან, რის საფუძველზეც კომერციული ოპერირების ფარგლებში „კომპანიის“ მხრიდან გასაყიდი ელექტროენერგიის ზედა ზღვარი განისაზღვრა 5.5 (ხუთი მთელი ხუთი მეათედი) აშშ ცენტით 1 კვტ/სთ-ზე.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

როგორც აღინიშნა კომპანიამ ელექტროენერგიის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე დაიწყო 2020 წლიდან, შესაბამისად კომპანია მიმდინარე ანგარიშის გამოქვეყნების მომენტამდე ფუნქციონირებდა Covid-19-ის გლობალური პანდემიის პირობებში. თბოელექტროსადგურის, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტის ფუნქციონირებს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვამ.

ამ მხრივ, მთელი რიგი აქტივობები, როგორც უშუალოდ Covid-19-ის გავრცელების პრევენციის, ისე ჩვეულებრივი ორგანიზაციული საქმიანობის მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ:

- „საზოგადოება“ დარეგისტრირდა სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელ კომპანიათა სიაში;
- გაფორმდა ხელშეკრულება სახიფათო და მუნიციპალური ნარჩენების გამტან ორგანიზაციებთან;
- განხორციელდა დაღვრის საწინააღმდეგო საშულებების შეძენა და მათ გამოყენების შესახებ თანამშრომლების ინსტრუქტირება;
- მოხდა ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის გამოანგარიშების დანერგვა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ანგარიშგების წარდგენა;
- დაიწყო საწარმოო წყლების გამოყენების აღრიცხვა;

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უზრუნველყოფილი იქნა ანალიზების ჩატარება ჩამდინარე ტექნიკური წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით;
- მომზადდა და „კომპანიის“ შესაბამის თანამშრომლებს ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების დაცვის შესახებ ინსტრუქტაჟები;
- „საზოგადოებაში“ ახლად დასაქმებული თანამშრომლებისათვის განხორციელდა სამუშაო ეკიპირებისა და ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობების შეძენა (დამცავი ფეხსაცმელები, ჩაფხუტები, სამუშაო ტანსაცმლის ამრეკლი, ყურის დამცავი საშუალებები და ა.შ.);
- კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით, განხორციელდა ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შეძენა და თანამშრომლების აღჭურვა; აგრეთვე გატარდა მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებებისა, რომლის შედეგადაც, 2020 წლის განმავლობაში „კომპანია“ ფუნქციონირებდა გამართულად და თვიდან იქნა აცილებული შიდა ეპიდემიოლოგიური აფეთქება;
- „კომპანიაში“ დაინერგა შრომის უსაფრთხოების დაცვის სისტემა, „საზოგადოების“ თანამშრომლებს და ვიზიტორებს კანონით დადგენილი პერიოდულობით (კოვიდ პანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით) ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟები და სწავლებები;

“კომპანია” 2020 წლისათვის გეგმავდა პროცესების ავტომატიზაციის სისტემის, EPR-ს დანერგვას. პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა COVID-19 პანდემიის ფონზე. “კომპანია” ვარაუდობს სისტემის დანერგვას 2021 წლის ზაფხულის ბოლოსათვის.

2020 წელს დაპროექტდა და 2021 წელს იგეგმება ზოგადი დანიშნულების სასაწყობე ნაგებობის, ქიმიური მასალების საწყობის, სასაწყობე ფარდულის, სახელოსნო შენობის, ლაბორატორიის და საინჟინრო ქსელების მოწყობა.


4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.

საანგარიშო პერიოდში თბოელექტროსადგურის ფუნქციონირება მოიცავდა შემდეგ ორ ძირითად ეტაპს: ა) ექსპლუატაცია „საცდელი გაშვებისა და კომპლექსური გასინჯვის“ რეჟიმში; ბ) სრულფასოვანი კომერციული ოპერირება, რომელიც დაიწყო 2020 წლის 20 ივლისს ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრის დისპეტჩერის განკარგულების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულთაგან პირველ პერიოდში „კომპანიამ“ ჯამურად გამოიმუშავა და გადამცემ ქსელს მიაწოდა 155 199 604 კვტ/სთ ელექტროენერგია, ხოლო მეორე ეტაპზე

გამომუშავებული იქნა 688 066 586 კვტ/სთ სიმძლავრე, საიდანაც გადამცემ ქსელს მიეწოდა 661 446 321 კვტ/სთ ელექტროენერგია.

საანგარიშო პერიოდში, საერთო ჯამში, „კომპანიამ“ გამოიმუშავა 817,359,222.20 კვტ/სთ სიმძლავრე, საიდანაც საკუთარმა მოხმარებამ შეადგინა 4,241,399.20 კვტ/სთ, ხოლო გენერაციისთვის საჭირო ბუნებრივი გაზის მოცულობამ - 166,248,807.00 კუბური მეტრი.



დეტალური კომერციული ინფორმაცია კალენდარული თვეების ჭრილში

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

ვინაიდან კომპანია საქმიანობას ოპერირებს საქართველოში, იგი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრების თვისებებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო ჩამოყალიბების პროცესშია და განიცდის სხვადასხვაგვარ ცვლილებებს. ძირითადი რისკები დაკავშირებულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (შემდგომში - „კანონი“) და ამ „კანონიდან“ გამომდინარე „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - „კონცეფცია“) დადგენილების საფუძველზე მიმდინარე ენერგეტიკული ბაზრის რეფორმასთან. „კანონი“ მიზნად ისახავს ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისად. „კონცეფცია“ ითვალისწინებს მიზნობრივ ბაზარზე გადასვლის ეტაპობრივ ღონისძიებებს რომლებიც დაიწყება 2021 წლის 1 ივლისიდან. მიუხედავად გაურკვევლობის რისკისა „კომპანიის“ მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ აღნიშნული რეფორმა არ გამოიწვევს ნეგატიურ ფინანსურ შედეგს. „კომპანიამ“ 2020 წლის 30 მარტს გააფორმა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“

ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ (PPA), რაც ითვალისწინებს ყოველწლიურად, 15 წლის განმავლობაში (2034 წლის ჩათვლით) მინიმუმ 1,2 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგიის შესყიდვას გარანტირებული 5.5 აშშ ცენტის კვტ.სთ-სთან ტარიფით, რაც უზრუნველყოფს 66 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში შემოსავლის მიღებას. იმპლემენტაციის ხელშეკრულებივე ფიქსირებულია ბუნებრივი აირის ფასიც რომელიც შეადგენს 0,143 აშშ ცენტს 1 მ3-ზე. ასევე, სადგურის სპეციფიკურობის გათვალისწინებით კომპანიამ შესაძლოა მიღოს დამატებით სარგებელი დამხმარე მომსახურების ბაზარზე პროდუქტის მიწოდებიდან (დამხმარე მომსახურების ბაზარი წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული საბითუმო ბაზრის ერთ-ერთ სეგმენტს). შემოსავლის მიღებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები (გაზის ხარჯი) შეადგენს შემოსავლის არაუმეტეს 54%-ს, მიმდინარე საოპერაციო ხარჯები მაქსიმალური დანახარჯები (OPEX) კომპანიის გათვლებით იქნება დაახლოებით 12 მლნ ლარამდე, ხოლო კაპიტალური დანახარჯები საშუალოდ წლიურად არაუმეტეს 3 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი. კალკულაციისთვის კომპანია არ ითვალისწინებს 2020 წლის პერიოდს, რადგან შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით არ მოქმედებდა იმპლემენტაციის შეთანხმებითა და PPA ხელშეკრულებით დადგენილი ზღვარი (1.2 მლრდ კვტ.სთ) რადგან თბოელექტროსადგური ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის 25 მარტს. კომპანიამ გაითვალისწინა ასევე, რომ 2020 წლის საანგარიშო პერიოდი არის ზარალიანი, თუმცა ზარალის მიზეზია კომპანიის სასესხო დავალიანების გადაფასება, რომელიც გააჩნია 100% მფლობელ კომპანიასთან, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“. მიუხედავად საანგარიშო ვალუტის გაუფასურებისა „კომპანიას“ არ შეექმნება სირთულე სესხის უზრუნველყოფისათვის, რადგან „კომპანიის“ შემოსავალიც ფიქსირებულია აშშ დოლარში.

მერაბ კიპაროიძე

გენერალური დირექტორი

21.05.2021